ქართული ღვინო

ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2018 წელი, I კვარტალი

შესავალი ..... 2 გვ.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია ..... 4 გვ.

ექსპორტი ..... 10 გვ.

ვენახების კადასტრი..... 11 ვ

ქართული ვაზის კულტურის კვლევა..... 12 გვ.

ლაბორატორიული შემოწმება ..... 13 გვ.

სერტიფიცირება ..... 14 გვ.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება ..... 15 გვ.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. www.georgianwine.gov.ge

E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა.

2018 წლის პირველ კვარტალში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მეღვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით ახორციელებდა.

საანგარიშო პერიოდის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- მარკეტინგი და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- სამომხმარებლო ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისგან;
- მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

2018 წლის პირველი კვარტალი გამოირჩეოდა შემდეგი წარმატებების ფონზე:

- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტ ღონისძიებაზე (გამოფენა, დეგუსტაცია, პრეზენტაცია, სემინარი და ა.შ). შემდეგ ქვეყნებში: აშშ, ჩინეთი/ჰონგ-კონგი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, პოლონეთი და სხვა.
- დაფიქსირდა ღვინის მზარდი ექსპორტი - სულ მსოფლიოს 43 ქვეყანაში ექსპორტირებულია 17,7 მლნ ბოთლი ღვინო

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

ქართული ღვინის განვითარების სტრატეგია

„ქართული ღვინის განვითარების სტრატეგია“ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) „საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის“ (CIM) ინტეგრირებული ექსპერტის ბერტჰოლდ ზაიტცის მხარდაჭერით შემუშავდა, რომელსაც 2016-2017 წლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს მრჩევლის პოზიცია ეკავა.

25 იანვარს, GIZ-ის პროგრამის - „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლების პროგრამა სამხრეთ კავკასიაში“ და ღვინის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ღონისძიება გაიმართა, სადაც ბერტჰოლდ ზაიტცმა ქართული ღვინის განვითარების სტრატეგია წარმოადგინა.

გრძელვადიანი სტრატეგია შედგება რამდენიმე მიმართულებისგან შესაბამისი სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო ღონისძიებების გათვალისწინებით. დოკუმენტის მიზანია ქართული ღვინის ხარისხის, მისი ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ქვევრის ღვინის წარდგენა საფრანგეთის ქალაქებში

საფრანგეთის რამდენიმე ქალაქებში - ანჟესა და სომურში ღვინის პროფესიონალები, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლები ქვევრის ღვინოსა და ქართული ღვინის კულტურას გაეცნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ ბუნებრივი ღვინოების გამოფენებში - ქალაქ ანჟეში „Les Penitentes“- (3-4 თებერვალი) და ქალაქ სომურში ‘’La Dive Boutteille”-ში (4-5

თებერვალი). „La Dive Boutteille” ყველაზე დიდი და პოპულარული ნატურალური ღვინის გამოფენაა საფრანგეთში, რომელსაც ცნობილი ფრანგი მეღვინეები მასპინძლობენ. „Les Penitentes“-ში ტრადიციულად მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ,,ნატურალური“ ღვინის მწარმოებლები მონაწილეობენ. წელს ქართული ღვინო მერვედ იყო წარმოდგენილი. წინა წლებში მონაწილეობამ დიდი წარმატება და ახალი კონტრაქტები მოუტანა ქართველ მეღვინეებს.

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ შემდეგი კომპანიების ღვინოები: „იაგოს ღვინო“, „მანდილი“, „ხოხბის ცრემლები“, „მარანი ლაგაზი“, „გოგო ვაინი/ართანული ღვინო“, „კორტავების მარანი“, „რამაზ ნიკოლაძის მარანი“, „ოქროს ღვინო“.

სარა ებოტის ვიზიტი

13 თებერვალს ღვინის მაგისტრი დიდი ბრიტანეთიდან სარა ებოტი (Sarah Abbott) ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს ღვინის ეროვნული სააგენტოს მუზეუმში შეხვდა და დიდ ბრიტანეთში ღვინის საფასო პოლიტიკა, გაყიდვების ახალი სტრატეგია და მარკეტინგთან დაკავშირებული საკითხები გააცნო, რაც ქართული ღვინის ამ ბაზარზე ხელმისაწვდომობასა და დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. შეხვედრაზე ბრიტანელმა პროფესიონალმა დიდი და მცირე მარნების წარმომადგენლებს 2018 წელს ინგლისის ბაზარზე დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები გააცნო და მოისმინა მათი მოსაზრებები. სარა ებოტის შეფასებით, ბრიტანეთში ქართულ ღვინოზე ინტერესი მზარდია. მისი თქმით, მიმდინარე წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარდება ქართული ღვინის ტრეინინგ პროგრამები, რათა ღვინით მოვაჭრეებმა მიიღონ ინფორმაცია ქართული ღვინის მრავალფეროვნებასა და ხასიათზე.

იაპონიაში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა

18 თებერვალს ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოსა და ქალაქ ოსაკაში გაიმართა. ტოკიოში გამართულ ღონისძიებას საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე და ჰაცუ ბაშუს ტურნირის ქართველი გამარჯვებული, სუმოისტი ლევან გორგოძე, იგივე ტოჩინოშინი ესტუმრნენ. ტოკიოსა და ოსაკაში გამართულ ღონისძიებებში ჯამში 35 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე დასახელების ღვინო იყო წარდგენლი. ქართული ღვინის პრეზენტაცია-სემინარს ტოკიოში 350, ხოლო ოსაკაში 300-მდე ღვინის პროფესიონალი დაესწრო: დისტრიბუტორები, იმპორტიორები, სომელიეები, რესტორატორები და ა.შ. დეგუსტაციებს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში უძღვებოდა

ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი ქართულ ღვინოზე წიგნს წერს

ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის ისტორიაზე, კულტურასა და პოტენციალზე წიგნს წერს. ცნობილი ღვინის პროფესიონალი საქართველოში თებერვლის თვეში იმყოფებოდა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საოჯახო ტიპის მარნებსა და ღვინის საწარმოებს სტუმრობდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 14 თებერვალს ლიზა გრანიკი შიდა ქართლს, კერძოდ ატენის ხეობას ესტუმრა, დაათვალიერა რამდენიმე საოჯახი მარანი და დააგემოვნა ადგილობრივ ღვინოები „თავკვერი“, „ატენური“, „ჩინური“, „გორული მწვანე“ და სხვა.

ვიზიტის ფარგლებში ლიზა გრანიკი ეწვია კახეთს, იმერეთს, გურიას, სამცხე-ჯავახეთს, ქართლს, ასევე აგრარული უნივერსიტეტის მეღვინეობა-მევენახეობის ფაკულტეტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე გაშენებულ ვენახს.

ქართული ღვინის დეგუსტაციები პოლონეთში გაიმართა

20 თებერვალს ქართული ღვინის წარდგენა პოლონეთის ქალაქებში ზაკოპანესა და კრაკოვში გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Malinova“-ს ორგანიზებით, ზაკოპანეში ქართული ღვინის დეგუსტაცია სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობების თასის გათამაშების ფარგლებში მოეწყო, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა მიეცა დაეგემოვნებინათ სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინოები.

„Malinova“-ს ორგანიზებულ ღონისძიებაზე კრაკოვში, ქართული ღვინო ქალაქის მთავარ მოედანზე მდებარე ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში დააგემოვნეს. ღონისძიებაზე მოწვეული იყო 200-მდე სტუმარი. დეგუსტაციაზე მუზეუმის წესების თანახმად, წარდგენილი იყო სხვადასხვა ქართული კომპანიების მხოლოდ თეთრი ღვინოები.

ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს კიდევ ერთი კონტრაქტორი კომპანია „Vinisfera”-ს მიერ მოეწყო კრაკოვში, სადაც ღვინოსთან ერთად წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულოც. სემინარს უძღვებოდა „Vinisfera”-ს

ხელმძღვანელი მარიუს კაპჩინსკი და მას ადგილობრივი იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში

6-9 მარტს ქართული ღვინის კომპანიები კვების პროდუქტებისა და სასმელების 43-ე საერთაშორისო გამოფენაში ,,FOODEX JAPAN 2018" მონაწილეობდნენ, რომელიც იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ჩატარდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოსა და იაპონიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, აღნიშნულ გამოფენაზე 10 ღვინის კომპანიაა მონაწილეობდა - "მეღვინეობა ვაზიანი", "მარანული", "დუგლაძეების ღვინის კომპანია", "შატო ნეკრესი", შპს "ქინძმარაული", "სარაჯიშვილი", შპს "ალავერდი", "ქიმერიონი", "მოსმიერი" და "ჩელთი".

გამოფენის ოფიციალურ გახსნას იაპონიაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ლევან ცინცაძე დაესწრო.

ქართული ღვინის წარდგენა ლონდონში

11-12 მარტს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენა ,,RAW WINE" (The Artisan Wine Fair) ჩატარდა, რომელშიც საქართველოდან ქვევრის ღვინის მწარმოებელი მცირე მარნები მონაწილეობდნენ.

გამოფენას საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში თამარ ბერუჩაშვილი დაესწრო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაში მონაწილეობდნენ შემდეგი კომპანიები: „გოცას საოჯახო მეღვინეობა“, „ბაბანეურის მარანი“, „ნათენაძის მარანი“, „შატო ხაშმი“, „მეღვინეობა ეთნო“, „მეღვინეობა ველინო“, „ნიკალას საოჯახო მარანი“, „მეღვინეობა ტიბაანი“.

ქვევრის ღვინის წარდგენა აშშ-ს ქალაქებში

9-დან 20 მარტამდე აშშ-ს 6 ქალაქში ქვევრის ღვინის დეგუსტაციები გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო მცირე მარნები: „იაგოს ღვინო“, „ოქრო ღვინოები“, „ხოხბის ცრემლები“ და „რამაზ ნიკოლაძის ღვინის მარანი“. ქართველი მეღვინეები საკუთარ ღვინოებს აშშ-ში თავად წარადგენდნენ.

ქართული ღვინის დეგუსტაციები ჩატარდა საქართველოს მეღვინეობის 8-ათასწლიან ტრადიციებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის „ჩვენს ძარღვებში ღვინო სჩქეფს“ (OUR BLOOD IS WINE) ჩვენების ფონზე. ფილმის რეჟისორია ამერიკელი კინორეჟისორი ემილი რელსბეიკი (Emily Railsback). ფილმის პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. ქართველი მეღვინეები აშშ-ში იმყოფებოდნენ ნატურალური ღვინოების იმპორტიორის, კრის ტერელის (Christopher Terrell) მიწვევითა და ორგანიზებით, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით.

ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ProWein-ზე

18-20 მარტს, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა „ProWein-2018“ ჩატარდა, სადაც ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენაზე ქართული კომპანიები წარმოდგენილი იყვნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს ორგანიზებით.

„ProWein-2018“ში მონაწილეობდნენ შემდეგი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები: „გიუაანი“, „მეგობრების მარანი“, შპს „ქინძმარაული“, „თელავის ღვინის მარანი“, KTW, „გურამიშვილის მარანი“, „ვაზიანი კომპანი“, „თბილღინო“, „მარნის კარი“, „ბოლერო“, „შილდა“, „ჩიგოგიძე ვაინს“, „ბადაგონი“, „მილდიანი“, „თელიანი ველი“, „კახური“, „ვიტე ვერა/ბესინი“, „შუხმანი“, „ქართული ღვინის სახლი“, „ხარება“, „შუმი“, „კორპორაცია ქართული ღვინო“, GWS, „შატო მუხრანი, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „კორპორაცია ქინძმარაული“.

The 98th China Food & Drinks Fair

22-24 მარტს ჩინეთში, სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში „ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა“ (The 98th China Food & Drinks Fair) გაიმართა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 32 კომპანია მონაწილეობდა: „თელავის ღვინის მარანი“, „გიუაანი“, „კახური“, „ვიტე ვერა“ (ბესინი), „ვინაგორა“, „კახური ღვინის მარანი“, „ასკანელი ძმები “, „BG Wines”, „ჩელთი“, “თბილღვინო”, “ფალავანი”, “კოტეხი”, “ვაინმენი”, “ქიმერიონი”, “შილდა”, „სათავადო“, “თელიანი ველი”, „ჯიმშერი“, “კორპორაცია ქართული ღვინო”, “ბოლერო და კომპანია”, “შატო მუხრანი”, “მეღვინეობა ხარება”, GWS, “ბატონო”, KTW, “მარანული”, “ქართული ღვინის სახლი”, “მოსმიერი”, შპს „კორპორაცია ქინძმარაული“, „შუხმანის ღვინოები“, “ვაზიანი კომპანი” და „დუგლაძეების ღვინის კომპანია“.

ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთში

22-30 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Malinova“-ს ორგანიზებით, ქალაქ კრაკოვში, უმსხვილეს სავაჭრო ცენტრში ქართული ღვინის

დეგუსტაციები მოეწყო, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები. ღონისძიება ღია იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის და გათვლილი იყო იმ ადამიანებზე, რომლებიც სააღდგომო სუფრისთვის განსაკუთრებულ და საინტერესო პროდუქტს ეძებდნენ.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სადეგუსტაციო სტენდები, რაც იყო კარგი შესაძლებლობა ახალი იმპორტიორებისთვის, რომელთაც პოლონეთის ბაზარზე ქართული ღვინის შეტანის გეგმები აქვთ. ორ ქართულ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გააფორმეს ახალმა იმპორტიორებმა.

ექსპორტი

2018 წლის პირველი კვარტალში, ქართული ღვინის ექსპორტი 24%-ით გაიზარდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-მარტში, საქართველოდან, მსოფლიოს 43 ქვეყანაში 17,7 მლნ ბოთლი ღვინის (0,75 ლ) ექსპორტი განხორციელდა, რაც 24%-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 40,47 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 26% შეადგინა.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორ ევროპის, ისე აშშ-ს, აზიისა და ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ბელარუსი - 429% (233220), იაპონია - 230% (53160), დიდი ბრიტანეთი - 98% (37740), საფრანგეთი - 71% (24248), ყაზახეთი - 85% (877494), ჩეხეთი - 68%(18888), ლატვია - 61% (412626), ნიდერლანდები - 46% (21993), გერმანია - 38% (136222), უკრაინა - 36%(1771928), პოლონეთი - 32% (740922), ესტონეთი - 28% (120246), რუსეთი - 28% (11511830), ისრაელი - 24% (52722, აშშ - 3% (68620), და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (11511830), უკრაინა (1771928), ჩინეთი (1117138), ყაზახეთი (877494) და პოლონეთი (740922).

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 134 კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, იანვარ-მარტში ექსპორტირებულია 3,5 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი და 43,8 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა.

სულ, ღვინის, ბრენდის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 64,8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 10%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ვენახების კადასტრის პროგრამა

საერთაშორისო ექსპერტი საქართველოს ვენახების კადასტრის შედგენაში დაეხმარება

ვენახების ეროვნული კადასტრის პროგრამის განხორციელებაში პორტუგალიელი ექსპერტი ანა ლუჟი ჩაერთო. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) მხარდაჭერით, ანა ლუჟი 2018-2019 წლებში ღვინის ეროვნულ სააგენტოში კონსულტანტად იმუშავებს.

ვენახების კადასტრის პროგრამა ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წელს დაიწყო. აღნიშნული პროცესი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო გამოცდილებასა და ჰარმონიზებული უნდა იყოს ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასთან. კადასტრის აღიარებული სპეციალისტი ანა ლუჟი საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკული რჩევების გაზიარების მიზნით, გასულ წლებში ღვინის ეროვნულ სააგენტოს მოკლევადიანი ვიზიტებით სტუმრობდა.

2018 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გააგრძელა ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება.

პროგრამა მოიცავს: ვენახების ფართობების აღრიცხვას, ორთოფოტოების დამზადებას, ვენახებისა და მევენახეთა რეგისტრაციას და პასპორტიზაციას, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტებას, მევენახეთა და მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის სუბიექტების საანკეტო მონაცემების შეგროვებას და ა.შ.

2018 წლის I კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- შემუშავდა საკადასტრო სამუშაოების განხორციელების საერთო წლიური გეგმა;
- მომზადდა დოკუმენტაცია 2018 წლის ვენახების კადასტრის ტენდერისთვის;
- კომპანია ABACO-ს ექსპერტები სისტემატიურ კონსულტაციებს უწევდნენ სააგენტოს თანამშრომლებს ამ საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების ოპერირების, დახვეწისა და ფუნქციონირების ამაღლების მიზნით;
- კადასტრის სამუშაო ჯგუფმა, ექსპერტ ანა ლუჟის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ტექნიკური სახელმძღვანელო დოკუმენტები საკადასტრო მონაცემების შეკრების, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით გამოყენებისათვის.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი

- წლის დასაწყისში განისაზღვრა 2018 წლის სამუშაოების ძირითადი პრიორიტეტები და შედგა წლიური სამოქმედო გეგმა.
- შვიდი არქეოლოგიური ნიმუში - მცენარეული ნაშთები წიპწებისა და მერქნის სახით, გაიგზავნა C14 მეთოდით დათარიღებისათვის ისრაელში, ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში. ეს ნიმუშები აღებულია 2017 წელს შულავერის კულტურის (ძვ. წ. 6000-5000 წლები) ძეგლებდან („გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“) და სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან („თრელი გორები“, „ძალისი“, „დედოფლის გორა“, „დიღომი“).
- მილანის უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს „Science of the Total Environment“ გამოსაქვეყნებელად გადაეცა პროექტის ფარგლებში მომზადებული სტატია „Influence of climate cycles on grapevine domestication and amcient migrations in Eurasia”.
- პროექტმა დაიწყო მუშაობა ქართული ქვევრის შესწავლისა და სისტემატიზაციის მიმართულებით. ამ მიზნით განხორციელდა სხვადასხვა

პროფილის მეცნიერთა ჯგუფის ჩამოყალიბება და შესაბამისი მიმართულების კვლევების დაგეგმვა. აღნიშნულ კვლევებში ჩართვის მიზნით მოწვეული იყო ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგი, მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. მე-4-2 ათასწ.) მკვლევარი, მეცნიერებათა დოქტორი სტეფენ ბატიუკი (Stephen Batiuk). ბატიუკი გაეცნო საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ქვევრის ნიმუშებს მათი შემდგომი შესწავლის მიზნით და შეარჩია ქვევრის ნიმუში მეცნიერული კვლევებისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მკვლევარ ნოდარ ფოფორიძის ლაბორატორიაში შესასწავლად. პარარელურად, შეაგროვა სამეცნიერო ლიტერატურა ქვევრზე მომავალი პუბლიკაციის მოსამზადებლად. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ პირებთან ბატიუკის შეხვედრის დროს განხილული იყო პროექტის შემდგომი სამუშაოები და კანადაში ქართული ღვინის კულტურის პოპულარიზაციის საკითხები;

- ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურ ჯგუფთან ერთად (ხელმძღვანელი დოქტ. მინდია ჯალაბაძე) დაიწყო მზადება მომავალი გათხრების დაგეგმვისათვის, რომელიც განახორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში შულავერის კულტურის ძეგლებზე „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“ მიმდინარე წლის მაის- ივნისის თვეებში;

ლაბორატორიული შემოწმება

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 63 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 2439 ნიმუში, მათგან 93 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი დადებითად. „ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში“ შესული

ცვლილებების საფუძველზე, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან სავალდებულო დეგუსტაციას დაექვემდებარა ყველა კატეგორიის საექსპორტო ღვინო. აქამდე ეს მხოლოდ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს ეხებოდა. ამ ცვლილებამ განაპირობა ღვინის ეროვნულ სააგენტოში დეგუსტატორთა რაოდენობის გაზრდის საჭიროება. აქედან გამომდინარე, სააგენტოში

დეგუსტატორთა შესარჩევი კონკურსი გაიმართა. პირველ ეტაპზე 40 კონკურსანტიდან 23, ხოლო მეორე ეტაპზე 9 კონკურსანტიდან - 5 დეგუსტატორი შეირჩა, რომლებიც დეგუსტირების პროცესში ჩაერთვნენ.

სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 1647 განაცხადი, რაც 300-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი / ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 1391 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი 1433 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ, გაცემულია სულ 2824 სერტიფიკატი, რაც 600-ით აღემატება გასული წლის პირველ კვარტალში გაცემული სერტიფიკატების რაოდენობას.

შეხვედრა ღვინის კომპანიების წარმომადგენლებთან

16 იანვარს, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც განხილული იყო ღვინის ეროვნულ სააგენტოში დაგეგმილი სერტიფიცირების ელექტრონული სისტემის ამოქმედდების საკითხი, ასევე „ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესში“ ცვლილებების პროექტი, რომლის მიზანი პროდუციის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებაა.

ელექტრონული სისტემის დანერგვით, მარტივდება სერტიფიცირების პროცედურები, მეწარმეს აღარ მოუწევს სააგენტოში მოსვლა. მას შესაძლებლობა აქვს ინტერნეტის მეშვეობით შეავსოს დეკლარაცია, გააკეთოს განაცხადი და მხოლოდ მზა სერტიფიკატის ასაღებად

მოვიდეს სააგენტოში. სერტიფიცირების წესში დაგეგმილ ცვლილებების პროცესში კომპანიები ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს ჩაუტარდა ტრენინგი ახალ, ელექტრონულ სერტიფიცირების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მეღვინეობის დარგის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე ასევე განხილული იყო „ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში" შესულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან სავალდებულო დეგუსტაციას დაექვემდებარა ყველა კატეგორიის საექსპორტო ღვინო. აქამდე ეს მხოლოდ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს ეხებოდა. აღნიშნული ცვლილების ინიციატივა კერძო სექტორის მხრიდან მოდიოდა და პროცესი შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება

საანგარიშო პერიოდში ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში განხორციელდა როგორც საექსპორტო ადგილწარმოშობის, ასევე სუფრის ღვინოებისა და ღვინის ბრენდის (ლოტთან მიმართებაში) 7 საინსპექციო კონტროლი: საექსპორტო პარტიებიდან აღებული და შემოწმებული იყო 56 ნიმუში. ინსპექტირების შედეგად შვიდი ღვინის ნიმუში არ შეესაბამებოდა აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის საფუძველზეც კონკრეტულ საექსპორტო ღვინოებს ექსპორტირებაზე უარი განეცხადათ.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში (http://georgianwine.gov.ge/, https://www.facebook.com/Wines.of.Georgia/, https://www.facebook.com/LEPL-National-Wine-Agency-of-Georgia, https://twitter.com/Georgian_wine, https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)